ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4148000

ნომერი: AR1626790

თარიღი : 30.08.2018

გაცემის თარიღი : 03.09.2018

გაცნობის თარიღი : 03.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მუხიანის ქუჩა N2ა ; ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა, ს/ს "თემქა პურის" შესასვლელთან, (ნაკვეთი N01/011)-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , ს/ს "თემქა-პური"-ს შესასვლელთან , (ნაკვ. 01/011);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ქაცარავა პ/ნ 01024018812
- თბილისი ო.ჭილაძის ქ. N 166 კორ. 3 ბ. 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22

ნოემბრის №3697789 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 აგვისტოს NAR1626790 განცხადებით მომართა მამუკა ქაცარავამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისი, სექტორი ნაძალადევი, მუხიანის ქუჩა N2ა / ქალაქი თბილისი, დასახლება თემქა, ს/ს "თემქა პურის" შესასვლელთან, (ნაკვეთი N01/011)-ის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, დასახლება თემქა, ს/ს "თემქაპური"-ს შესასვლელთან, (ნაკვ. 01/011), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.05.001.077) საავადმყოფოს შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 22 იანვრის №3782890 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 იანვრიდან 2020 წლის 22 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 23 აგვისტოს №4133319 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საოფისე ფართობი: 755.80 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 77.70 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 3590.80 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 2853.90 კვ.მ., სასწავლო აუდიტორიის ფართობი: 173.00 კვ.მ., პალატების ფართობი: 2125.20 კვ.მ., საორდინატორო და საოპერაციო ფართობი: 555.60 კვ.მ., საერთო ფართობი: 10132.00 კვ.მ.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N892018649587, მომზადების თარიღი: 24/07/2018 11:06:33) თანახმად, 01.12.05.001.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ბაზისი“-ს (205279740) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია - B17080749, მომზადების თარიღი: 07/08/2017 11:03:18), სს „ბაზისი“-ს დირექტორია მამუკა ქაცარავა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, დამხმარე ფართობის - 2853.90 კვ.მ.-ის ნაცვლად - 2870.10 კვ.მ.-ის, ხოლო საერთო ფართობის - 10132. კვ.მ-ის ნაცვლად - 10148.20 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: დამხმარე ფართობი: 2870.10 კვ.მ., საერთო ფართობი: 10148.20 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის №3697789 და 2018 წლის 23 აგვისტოს №4133319 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge